2-19852/22
12-12-2022

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საქართველოს პარლამენტის წევრების: კახა კახიშვილის, ვიქტორ ჯაფარიძის, ანტონ ობოლაშვილისა და ირმა ზავრადაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტები „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/261; 26.10.2022).

წარმოდგენილი ცვლილებები შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა პროცედურულ საკითხებს და ასევე მუნიციპალიტეტში მომდევნო წლის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს.

ვინაიდან პროექტი ეხება, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს, სასურველია პროექტი მიღებულ იქნას მიმდინარე წლის ბოლომდე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, 2022 წლის საშემოდგომო სესია სრულდება 16 დეკემბერს. საკანონმდებლო ინიციატივის განხილვისთვის პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი ვადების გათვალისწინებით, წარმოდგენილი ცვლილებების ამ სესიაზე მიღება შეუძლებელი ხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება წარმოდგენილი კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
კახა კახიშვილი

პარლამენტის წევრი
ვიქტორ ჯაფარიძე



პარლამენტის წევრი
ანტონ ობოლაშვილი



პარლამენტის წევრი
ირმა ზავრადაშვილი